ქვემოთ მოყვანილია სააღრიცხვო მონაცემები კომპანიის 2013 და 2014 წლის მაჩვენებლებიდან:

	2013	2014
წარმოებული და გაყიდული ერთეულები	210	265
გასაყიდი ფასი	\$4,800	\$6,500
გამოყენებული ნედლეული-ხე (კუბურ მეტრებში)	1,050	1,272
ერთი მ ³ ხის ფასი	\$600	\$800
დამატებითი ნედლეული ერთეულზე	\$100	\$150
წარმოების უნარი (ერთეულებში)	300	300
გარდაქმნის დანახარჯები	\$93,000	\$126,000
მომხმარებელთა მომსახურების უნარი (მომხმარებლების რაოდენობაში)	30	42
მომხმარებელთა მომსახურების დანახარჯები	\$31,500	\$46,200

წლიური გარდაქმნის დანახარჯები დამოკიდებული იყო სანარმოს უნარზე აწარმოოს გარკვეული რაოდენობის პროდუქცია და არა რეალურ წარმოებულ ერთეულთა რაოდენობაზე. ანალოგიურად, გაყიდვებთან დაკავშირებული ხარჯებიც (მომხმარებელთა მომსახურების უნარი) დამოკიდებული იყო სანარმოს უნარზე მოემსახუროს გარკვეული რაოდენობის კლიენტებს და არა მათ ფაქტიურ რაოდენობაზე. შევნიშნოთ, რომ 2013 წლის განმავლობაში ერთი გაყიდვების მენეჯერი საშუალოდ 5 კლიენტის მომსახურებას ახერხებდა და დაქირავებული იყო 6 მენეჯერი. 2013 წლის ბოლოს ჩატარებულმა ტრენინგებმა და დანერგილმა შესაბამისმა პროგრამამ ერთ მენეჯერს 6 კლიენტის მომსახურების საშუალება

მისცა. ამასთან დაქირავებულ იქნა მეშვიდე სპეციალისტიც ამ მიმართულებით და სწორედ ამიტომ 42 პოტენციური კლიენტის მომსახურების საშუალება მიეცა კომპანიას. 2013 წელს კომპანიას ჰყავდა 27 მომხმარებელი, 2014-ში კი 33.

სტატისტიკური მონაცემებით, 2013 წლის განმავლობაში „მარტყოფის“ მიერ წარმოებული საოფისე ავეჯის და მათი ანალოგების ბაზარი დაახლოებით 10%-ით გაიზარდა.

ზემოთ მოყვანილი მონაცემებით შევადგინოთ 2013 და 2014 წლის მოგება-ზარალის უწყისები

	2013	2014	ცვლილება
შემოსავალი რეალიზაციიდან	\$1,008,000	\$1,722,500	\$714,500
დანახარჯები:			
დანახარჯი გამოყენებულ ხის მასალაზე	\$630,000	\$1,017,600	\$387,600
დანახარჯი დამატებით ნედლეულზე	\$21,000	\$39,750	\$18,750
გარდაქმნის დანახარჯები	\$93,000	\$126,000	\$33,000
მომხმარებელთა მომსახურების დანახარჯები	\$31,500	\$46,200	\$14,700
სულ დანახარჯები:	<u>\$775,500</u>	<u>\$1,229,550</u>	<u>\$454,050</u>
საოპერაციო მოგება	\$232,500	\$492,950	\$260,450

მნიშვნელოვანია გავარკვიოთ რამდენად წარმატებული იყო შერჩეული სტრატეგიის განხორციელების პროცესი და რა წილი აქვს **\$260,450-ით** მოგების ზრდაში შერჩეულ სტრატეგიას. ამისთვის მოგებაში მიღებული ნაზრდი დავშალოთ გარკვეულ კომპონენტებად.

- გავარკვიოთ თუ რა გავლენა მოახდინა მხოლოდ წარმოებისა და გაყიდვების მოცულობის ზრდამ 2014 წლის მოგებაზე.

ამისათვის სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობებში გამოვითვალოთ რაოდენობრივი ზრდის ეფექტი შემოსავლებზე და ხარჯებზე.

რაოდენობრივი ზრდის ეფექტი შემოსავლებში

$$\begin{aligned}
 &= (\text{გაყიდულ ერთეულთა რაოდენობა 2014} \\
 &- \text{გაყიდულ ერთეულთა რაოდენობა 2013}) \times \text{გასაყიდი ფასი 2013} \\
 &= (265 - 210) \times \$4,800 = \$264,000
 \end{aligned}$$

ბუნებრივია, რადგან გაყიდულ ერთეულთა რაოდენობა გაიზარდა (სხვა მაჩვენებლების უცვლელობის შემთხვევაში) ეს გამოიწვევდა მოგების ზრდას.

ეხლა შევაფასოთ რაოდენობრივი ზრდის შედეგად მიღებული მაჩვენებლები ხარჯებში:

რაოდენობრივი ზრდის ეფექტი ნედლეულზე გაწეულ დანახარჯებში = (2014-ში გამოშვებულ ერთეულთათვის საჭირო ნედლეულის რაოდენობა თუ მოხმარება ერთეულზე იქნებოდა 2013-ის იდენტური - 2013-ში მოხმარებული ნედლეულის რაოდენობა) X ნედლეულის ერთეულის თვითღირებულება 2013-ში

მენეჯმენტი

2013-ში ერთ კომპლექტ ავეჯზე იყენებდნენ 5 მ³ (1050/210) ხის მასალას. ამიტომ:

$$\text{რაოდენობრივი ზრდის ეფექტი ნედლეულზე განეულ დანახარჯებში} = (265 \times 5 - 1,050) \times \$600 = \$165,000$$

სხვადასხვა დამატებით ნედლეულს ერთეულზე 2014-შიც იგივე რაოდენობით მოიხმარდნენ რასაც 2013-ში. ამიტომ

$$\text{რაოდენობრივი ზრდის ეფექტი დამატებით ნედლეულზე განეულ დანახარჯებში} = (265 - 210) \times \$100 = \$5,500$$

გარდაქმნის დანახარჯებთან და მომხმარებელთა მომსახურების დანახარჯებთან დაკავშირებით რაოდენობრივი ზრდის ეფექტის გამოსათვლელად შემდეგი ფორმულით ვისარგებლოთ:

$$\text{რაოდენობრივი ზრდის ეფექტი ფიქსირებულ დანახარჯებში} = (2013 \text{ წელში გამოყენებული სიმძლავრეების რაოდენობა თუ ის საკმარისია 2014-ში გამოშვებულ ერთეულთათვის ან 2014-ში გამოშვებულ ერთეულთათვის საჭირო სიმძლავრეების რაოდენობა იმ შემთხვევაში თუ ერთეული სიმძლავრის გამოყენების ეფექტურობა იქნებოდა 2013-ის იდენტური - 2013 წელში გამოყენებული სიმძლავრეების რაოდენობა) \times \text{სიმძლავრის ერთეულის თვითღირებულება 2013-ში}$$

ჩვენ შემთხვევაში გარდაქმნის დანახარჯებისთვის გვექნება:

$$\text{რაოდენობრივი ზრდის ეფექტი გარდაქმნის დანახარჯებში} = (300 - 300) \times (93,000 / 300) = 0$$

მომხმარებელთა მომსახურების დანახარჯებისთვის კი იქნება:

$$\text{რაოდენობრივი ზრდის ეფექტი მომხმარებელთა მომსახურების დანახარჯებში} = (35 - 30) \times (31,500 / 30) = \$5,250$$

თუ შევაჯამებთ ზრდის ეფექტს მივიღებთ შემდეგ სურათს:

რაოდენობრივი ზრდის ეფექტი შემოსავლებში		\$264,000
რაოდენობრივი ზრდის ეფექტი ნედლეულზე განეულ დანახარჯებში	\$165,000	
რაოდენობრივი ზრდის ეფექტი დამატებით ნედლეულზე განეულ დანახარჯებში	\$5,500	
რაოდენობრივი ზრდის ეფექტი გარდაქმნის დანახარჯებში	0	
რაოდენობრივი ზრდის ეფექტი მომხმარებელთა მომსახურების დანახარჯებში	\$5,250	
სულ ზრდის ეფექტი საოპერაციო მოგებაზე		\$88,250

• განვიხილოთ როგორ შეიცვალა მოგება გასაყიდი თუ შესასყიდი ფასების ცვლილების გამო.

შემოსავლებისთვის გვექნება:

$$\text{ფასის ეფექტი შემოსავლებში} = (\text{გასაყიდი ფასი 2014} - \text{გასაყიდი ფასი 2013}) \times \text{გაყიდულ ერთეულთა რაოდენობა 2014}$$

ჩვენ შემთხვევაში მივიღებთ:

$$\text{ფასის ეფექტი შემოსავლებში} = (\$6,500 - \$4,800) \times 265 = \$450,500$$

ნედლეულთან დაკავშირებით უნდა ვისარგებლოთ ფორმულით:

ფასის ეფექტი ნედლეულზე დანახარჯებში=(შესასყიდი ფასი 2014-შესასყიდი ფასი 2013)×2014-ში გამოშვებულ ერთეულთათვის საჭირო ნედლეულის რაოდენობა თუ მოხმარება ერთეულზე იქნებოდა 2013-ის იდენტური

ჩვენი მაგალითისთვის:

ფასის ეფექტი ნედლეულზე დანახარჯებში = (\$800 – \$600) × 1325 = \$265,000

დამატებითი ნედლეულისთვის გვექნება:

ფასის ეფექტი დამატებით ნედლეულზე დანახარჯებში = (\$150 – \$100) × 265 = \$13,250

ფიქსირებული ხარჯებისთვის ფასების ცვლილების ეფექტის დასათვლელად შემდეგი ფორმულა გამოვიყენოთ:

ფასის ეფექტი ფიქსირებულ ხარჯებში = (სიმძლავრის ერთეულის თვითღირებულება 2014-ში-სიმძლავრის ერთეულის თვითღირებულება 2013-ში)×2013 წელში გამოყენებული სიმძლავრეების რაოდენობა თუ ის საკმარისია 2014-ში გამოშვებულ ერთეულთათვის ან 2014-ში გამოშვებულ ერთეულთათვის საჭირო სიმძლავრეების რაოდენობა იმ შემთხვევაში თუ ერთეული სიმძლავრის გამოყენების ეფექტურობა იქნებოდა 2013-ის იდენტური

გარდაქმნის დანახარჯებისთვის მივიღებთ:

ფასის ეფექტი გარდაქმნის დანახარჯებში=(\$420-\$310)X300=\$33,000

მომხმარებელთა მომსახურების უნარისთვის გვექნება:

ფასის ეფექტი მომხმარებელთა მომსახურების დანახარჯებში=(\$1,100-\$1,050)X35=\$1,750

თუ შევაჯამებთ ფასების ეფექტს მივიღებთ შემდეგ სურათს:

ფასის ეფექტი შემოსავლებში		\$450,500
ფასის ეფექტი ნედლეულზე განეულ დანახარჯებში	\$265,000	
ფასის ეფექტი დამატებით ნედლეულზე განეულ დანახარჯებში	\$13,250	
ფასის ეფექტი გარდაქმნის დანახარჯებში	\$33,000	
ფასის ეფექტი მომხმარებელთა მომსახურების დანახარჯებში	\$1,750	
სულ ფასის ეფექტი საოპერაციო მოგებაზე		\$137,500

* განვიხილოთ როგორი ცვლილება განიცადა საოპერაციო მოგებამ ნედლეულისა და საწარმო სიმძლავრეების უფრო ეფექტური ან არაეფექტური გამოყენების შედეგად

ნედლეულის მოხმარების ეფექტურობისთვის გამოვიყენოთ შემდეგი ფორმულა:

ეფექტურობის შედეგი ნედლეულზე დანახარჯებში=(2014 წელს ფაქტიურად მოხმარებული ნედლეულის რაოდენობა - 2014-ში გამოშვებულ ერთეულთათვის საჭირო ნედლეულის რაოდენობა თუ მოხმარება ერთეულზე იქნებოდა 2013-ის იდენტური) X შესასყიდი ფასი 2014

ჩვენ შემთხვევაში:

ეფექტურობის შედეგი ნედლეულზე დანახარჯებში=(1,272-1,325)X\$800=-\$42,400

ეფექტურობის შედეგი დამატებით ნედლეულზე დანახარჯებში=(265-265)X\$150=0

ფიქსირებული დანახარჯებისთვის კი უნდა გამოვიყენოთ ფორმულა:

ეფექტურობის შედეგი ფიქსირებულ დანახარჯებში=(2014 წელში გამოყენებული სიმძლავრეების რაოდენობა-2013 წელში გამოყენებული სიმძლავრეების რაოდენობა თუ ის საკმარისია 2014-ში გამოშვებულ ერთეულთათვის ან 2014-ში გამოშვებულ ერთეულთათვის საჭირო სიმძლავრეების რაოდენობა იმ შემთხვევაში თუ ერთეული სიმძლავრის გამოყენების ეფექტურობა იქნებოდა 2013-ის იდენტური) X სიმძლავრის ერთეულის თვითღირებულება 2014-ში

გარდაქმნის დანახარჯებისთვის მივიღებთ:

ეფექტურობის შედეგი გარდაქმნის დანახარჯებში=(300-300)X\$420=0

მომხმარებელთა მომსახურების დანახარჯებისთვის კი გვექნება:

ეფექტურობის შედეგი მომხმარებელთა მომსახურების დანახარჯებში=(42-35)X\$1,100=\$7,700

შევაჯამოთ ეფექტურობის შედეგი საოპერაციო მოგებაზე:

ეფექტურობის შედეგი შემოსავლებში	
ეფექტურობის შედეგი ნედლეულზე განეულ დანახარჯებში	-\$42,400
ეფექტურობის შედეგი დამატებით ნედლეულზე განეულ დანახარჯებში	\$0
ეფექტურობის შედეგი გარდაქმნის დანახარჯებში	\$0
ეფექტურობის შედეგი მომხმარებელთა მომსახურების დანახარჯებში	\$7,700
სულ ეფექტურობის შედეგი საოპერაციო მოგებაზე	-\$34,700

თუ შევაჯამებთ მიღებულ შედეგებს გვექნება შემდეგი სურათი:

რაოდენობრივი ზრდის ეფექტი საოპერაციო მოგებაზე	\$88,250
ფასების ეფექტი საოპერაციო მოგებაზე	\$137,500
ეფექტურობის შედეგი საოპერაციო მოგებაზე	\$34,700
სულ საოპერაციო მოგების ცვლილება	\$260,450

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული წლის განმავლობაში „მარტყოფის“ მიერ წარმოებული საოფისე ავეჯის და მათი ანალოგების ბაზარი დაახლოებით 10%-ით გაიზარდა. შესაბამისად, შეიძლება იმის მტკიცება, რომ გაყიდვებში მიღებული 55 ერთეულიანი ზრდა ნაწილობრივ, კერძოდ $210 \times 10\% = 21$ ერთეულით, მიღწეული იქნა ბაზრის ზრდის ხარჯზე, ნაწილობრივ, $55 - 21 = 34$ ერთეულით, კი ბაზრის წილის ზრდის ხარჯზე.

ამიტომ გაყიდვების რაოდენობრივი ზრდის ხარჯზე საოპერაციო მოგებაში მიღებული ნაზრდის ნაწილი $(21/55) \times \$88,250 = \$33,695$ ბაზრის მოცულობის ზრდის ხარჯზეა მიღწეული და არა შერჩეული სტრატეგიის განხორციელების ეფექტი.

პროდუქციის უნიკალურობის, შესაბამისად მაღალი გასაყიდი და შესასყიდი ფასების, შედეგად მოგებაში მიღებული ნაზრდი შეიძლება შემდგომად დავთვალოთ:

ფასების ეფექტი საოპერაციო მოგებაზე	-	\$137,500
ბაზრის წილის ზრდის შედეგად საოპერაციო მოგებაში მიღებული ნაზრდი	$(34/55) \times \$88,250$	\$54,555
სულ		\$192,055

ხარჯების მინიმიზაციის (ნედლეულისა და სიმძლავრეების ეფექტურად მოხმარების) შედეგად მოგების ნაზრდი კი \$34,700-ია.

საბოლოოდ მივიღეთ 2013, 2014 წლის მოგებებს შორის სხვაობის ფაქტორები:

ბაზრის მოცულობის ზრდის ეფექტი	\$33,695
პროდუქციის უნიკალურობის ეფექტი	\$192,055
ხარჯების მინიმიზაციის ეფექტი	\$34,700
სულ საოპერაციო მოგების ცვლილება	\$260,450

როგორც, ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან ჩანს მოგებაში მიღწეული $112\% = (\$260,450 / 232,500) \times 100\%$ ზრდა დიდწილად (თითქმის $74\% = (\$192,055 / \$260,450) \times 100\%$ -ით) სწორედ პროდუქციის უნიკალურობის შედეგად იქნა მიღწეული. ამდენად ფინანსური მაჩვენებლები შერჩეული სტრატეგიის წარმატებულ განხორციელებაზე მიგვიჩვენებს.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი ტრისტან ჯინჭარაძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მანანა ხარხელი



ლიტერატურა:

1. Charlez T. Horngren, Srikant M. Dater, George Foster, Cost Accounting (A Managerial Emphasis), 14-th ed. 2012;
2. Colin Drury, Managment Accounting For Buziness, 5-th ed. 2013.

რეზიუმე

დიდი მნიშვნელობა აქვს იმის შეფასებას თუ რამდენად წარმატებულად ხორციელდება კომპანიის მიერ არჩეული სტრატეგია. როგორც წესი, ამ ამოცანის შესასრულებლად ხდება 1) ფინანსური შედეგების შეჯამება; 2) მომხმარებლებთან ურთიერთობის ანალიზი; 3) შიგა ბიზნეს პროცესების გამართულობის შესწავლა; 4) ზრდა-განვითარების პერსპექტივის შეფასება.

სტატიაში განხილულია სტრატეგიის განხორციელების პროცესში მოგების ცვლილების გამომწვევი სამი ძირითადი ფაქტორი: მოცულობა, ფასები და პროდუქტიულობა. მოყვანილია მეთოდი რომლითაც ხერხდება მოგების ნაზრდში არჩეული სტრატეგიის წილის შეფასება.

SUMMARY

It is very important to evaluate how well the implementation process of the strategy a company has chosen is going. To make such evaluations it is important to 1) Analyse and summarise financial results. 2) Analyse customer relations. 3) Study how well internal business processes are organized. 4) Evaluate growth and development perspectives.

This article considers three factors which cause changes to profit while implementing the strategy: These are: volume, prices and productivity. By using the method mentioned in this article it becomes possible to evaluate the contribution that strategy makes to the growth of profit.

ლიზინგი, როგორც კომერციული ბანკების ერთ-ერთი საინვესტიციო საქმიანობა

შესავალი

დღესდღეობით, საქართველოს ბაზარზე, კომპანიები ძალზედ აქტიურად სთავაზობენ სალიზინგო მომსახურებას ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. ასეთი კომპანიების გახსნით ძირითადად დაინტერესებულნი არიან კომერციული ბანკები, შესაბამისად ისინი დიდ ინვესტიციებს დებენ მათ დაარსებაში.

სტატიაში საუბარია, მიზეზებზე, რის გამოც კომერციული ბანკები ინტენსიურად ხსნიან სალიზინგო კომპანიებს, ასევე განხილულია საქართველოს ბაზარზე არსებული რამდენიმე სალიზინგო კომპანიის მდგომარეობა და წარმოდგენილია სალიზინგო ოპერაციების მოკლე დახასიათება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ლიზინგი, ფინანსური ლიზინგი, უკულიზინგი, საოპერაციო ლიზინგი, მეიჯარე, მოიჯარე, მომწოდებელი

ლიზინგის განვითარების და სალიზინგო ოპერაციების მოკლე მიმოხილვა

1877 წელს, კომპანია ბულმა, რომელიც ტელეკომუნიკაციის სფეროში მოღვაწეობდა, პირველმა ჩაუყარა ლიზინგით მომსახურებას საფუძველი. კერძოდ, მან გადანყვიტა სატელეფონო აპარატების იჯარით გაცემა, რაც ლიზინგის ისტორიაში პირველ ფაქტად დასახელდა, ვინაიდან, ტერმინი „ლიზინგი“ ქონების ქირავნობას ნიშნავს. თუმცა, ამ სფეროში პირველად სალიზინგო საქმიანობა დაიწყო კომპანია United States Leasing Corporation-მა.

ლიზინგოპერაციებს, საბანკო ოპერაციების ერთ - ერთ სახეობას მიაკუთვნებენ მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძირითადად არასაბანკო სექტორში ხორციელდება. ეს ფაქტი გამომდინარეობს იქიდან, რომ ლიზინგი ბანკის მხრიდან წარმოადგენს დაკრედიტების ალტერნატივის საშუალებას. ის ძალიან ნააგავს ძირითადი საშუალებების კრედიტით შექმნას, თუმცა განსხვავება ამ ორ ოპერაციას შორის არსებითია, კონკრეტულად:

- კრედიტით შექმნილი ძირითადი საშუალებები ხდება კრედიტის ამღების საკუთრება, ლიზინგით აღებული ქონება - რჩება ლიზინგის გამცემის საკუთრებაში.
- ლიზინგის მიმღები, ლიზინგის მეშვეობით ძირითად საშუალებას იღებს გარკვეული ვადით, რომლის გასვლის შემდეგ მას უფლება აქვს ქონება დაუბრუნოს ლიზინგის გამცემს.
- კრედიტით აღებული ქონების მოვლა - პატრონობაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კრედიტის ამღებს (მყიდველს).
- ლიზინგის დროს, ლიზინგის ობიექტზე საკუთ-



რებას ინარჩუნებს ლიზინგის გამცემი. ლიზინგის მიმღები, ლიზინგის ობიექტს იღებს დროებით მფლობელობაში და სარგებლობაში, რისთვისაც ლიზინგის გამცემს უხდის სათანადო საზღაურს.

ლიზინგი არის საკუთრების, ურთიერთობების რთული კომპლექსი, რომელიც დაკავშირებულია ქონების შექმნასა და მის შემდგომ გადაცემასთან დროებით სარგებლობაში, გრძელვადიანი იჯარის საფუძველზე. საკუთრების უფლება ნარჩუნდება ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

გამოიყოფა ლიზინგის სამი ძირითადი სახეობა:

1. **ფინანსური ლიზინგი** - სალიზინგო კომპანია ყიდულობს ძირითად საშუალებას, შემდეგ კი მომხმარებელს გადასცემს სარგებლობის უფლებით, ყოველთვიური ანაზღაურების საფუძველზე. ვადის გასვლის შემდეგ, ნივთი რჩება პირის საკუთრებაში.
2. **უკულიზინგი** - უკულიზინგის შემთხვევაში ლიზინგის მიმღები იმავდროულად წარმოადგენს ლიზინგის საგნის გამყიდველს. სალიზინგო კომპანია მიმწოდებლისგან ყიდულობს გასაყიდ აქტივს (სატრანსპორტო საშუალება, სპეცტექნიკა, სამრეწველო დანადგარები) და ამავდროულად ლიზინგის საგნის მიმწოდებელთან აფორმებს ლიზინგის ხელშეკრულებას, რის საფუძველზეც მიმწოდებელს, უკვე როგორც ლიზინგის მიმღებს გადასცემს ლიზინგის საგანს სარგებლობაში.
3. **საოპერაციო ლიზინგი** - როდესაც კომპანიას გადაეცემა აქტივი რამოდენიმე თვით სარგებლობისთვის, ვინაიდან მისი შექმნის საჭიროება არ აქვს მას. ლიზინგის ვადის გასვლის შემდეგ ხდება აქტივის უკან დაბრუნება.

ლიზინგის დროს საკუთრების უფლება რჩება იჯარის გამცემზე, ხოლო, ლიზინგის მიმღები, ლიზინგის ობიექტზე იღებს მხოლოდ დროებითი სარგებლობის უფლებას. როგორც წესი, სალიზინგო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, ლიზინგის მიმღებს შეუძლია შეიძინოს ლიზინგის ობიექტი შეთანხმებული ფასით, გააგრძელოს ლიზინგის ხელშეკრულება, ან დაუბრუნოს მფლობელს.

ლიზინგის ოპერაციის ელემენტებს მიეკუთვნება:

1. **ლიზინგის ობიექტი** - ეს შეიძლება იყოს მოძრავი, ან უძრავი ქონების ობიექტები. მოძრავი ობიექტებია - სატრანსპორტო საშუალებები, სამშენებლო ტექნიკა, სხვა საწარმოო მონეობილობები. უძრავია - საწარმოო დანიშნულების შენობა - ნაგებობები.

2. **ლიზინგის სუბიექტები** - ძირითადად სახელდება ლიზინგის სამი სუბიექტი, გამონაკლისი შემთხვევების გარდა. ესენი: **ლიზინგის ობიექტის მომწოდებელი** - მწარმოებლები, ან სავაჭრო კომპანიები; **ლიზინგის გამცემი** - მხარე, რომელიც ყიდულობს ძირითად საშუალებებს მომწოდებლისგან, ხდება მისი მესაკუთრე, ხოლო შემდეგ გასცემს მას ლიზინგის მიმღებზე იჯარით გარკვეული ვადით; **ლიზინგის მიმღები** - მხარე, რომელიც საწარმოო სიმძლავრეებს იღებს ლიზინგის გამცემისაგან იჯარით გარკვეული ვადითა და პირობებით.

3. **ლიზინგის პერიოდი** - ეს არის სალიზინგო ხელშეკრულებების მოქმედების ვადა, მას დიდი მნიშვნელობა გააჩნია, რადგან ლიზინგი, გრძელვადიანი ურთიერთობის ფორმაა. ამის გამო ლიზინგის პერიოდში ხდება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება: ძირითადი საშუალებების ექსპლოატაციის და ამორტიზაციის ვადა, სასესხო კაპიტალის ბაზრის განვითარების ტენდენციები და ინფლაციური მოლოდინი.

4. **ლიზინგის ფასი** - ლიზინგის ფასის განსაზღვრა, ესაა რთული პროცესი და მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნას.

სალიზინგო ოპერაციების არსს წარმოადგენს საწარმოებისთვის, წარმოების საშუალებების და გრძელვადიანი პერიოდით იჯარით გაცემა. იგი ითვალისწინებს მონეობილობების გამოსყიდვას იჯარის ვადის დასრულებისას ნარჩენი ღირებულებით.

ლიზინგი, როგორც კომერციული ბანკების ერთ - ერთი საინვესტიციო საქმიანობა

სალიზინგო ოპერაციები შედარებით დაბალრისკიანი და მაღალი შემოსავლის მომტანია, შესაბამისად ბანკები ძალიან დაინტერესებულნი არიან და აფუძნებენ ცალკე კომპანებს, ვინაიდან, ისინი თავიანთ ფულად საშუალებებს რისკის შედარებით დაბალი ხარისხის პირობებში გამოჰყოფენ, ვიდრე ფულადი სახსრების სესხად გაცემისას. ეს გამოდინარეობს იქიდან, რომ სალიზინგო ობიექტი უზრუნველყოფის საშუალებად გვევლინება. მწარმოებლები თავის მხრივ ხელს უწყობენ სალიზინგო ფირმების განვითარებას, რათა მოახდინონ სასაქონლო ბაზარზე გასვლა კაპიტალის ბრუნვის დაჩქარების მიზნით.

ლიზინგის ძირითად არსს წარმოადგენს ძირითადი საშუალებების საშუალო და გრძელვადიანი პერიოდით, იჯარის პირობით გადაცემა, შესაბამისად სალიზინგოს შეუძლია გამოიყენოს საგადასახადო სარგებლები, როგორცაა დღგ-ს გადანაწილება და ხარჯში გაქვითვა სრული ყოველთვიური შენატანებით, რაც თავის მხრივ დიდი სარგებლის მომტანი ხდება კომპანიისთვის და შესაბამისად ბანკისთვის.

ლიზინგის დროს, გირაოს საგნები ძირითადი საშუალებებია, რომლის დაფინანსებასაც აკეთებს კომპანია, ბანკის შემთხვევაში კი ძირითადი უზრუნველყოფა არის უძრავი ქონება, კონკრეტულად ბანკს არ აქვს ექვერტიზა ძირითად საშუალებებში, ამის გამო კომერციული ბანკები ცდილობენ ეს ოპერაციები გადაიტანონ სალიზინგო კომპანიებზე.

კომერციულ ბანკის წარმომადგენლები, ცდილობენ ინვესტიცია ჩადონ სალიზინგო კომპანიაში, რად-





გან, ამ შემთხვევაში, მათ შეუძლიათ დაიზღვიონ თავი სხვადასხვა რისკებისგან, რადგან ამ უკანასკნელის საშუალებით გადის არასაბანკო კლიენტებზე, შესაბამისად თუ რისკიანობა მაღალი იქნება, მათ ურჩევნიათ ერთი კომპანია ყავდეთ გარეთ და ამის საშუალებით თავი შედარებით დაცულად იგრძნონ.

ეკონომიკური ბუნებით, ლიზინგი არის სახსრების დაბანდება ძირითად საშუალებებში დაბრუნებითობის პრინციპით. ვადიანობისა და დაბრუნებათობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ ძირითადი საშუალებები დროებით გადაეცემა სარგებლობაში ლიზინგის მიმღებს, შემდეგ კი მას უკან იბრუნებს წინასწარ განსაზღვრული დროიდან გამომდინარე. ფასიანობის პრინციპის შემთხვევა გამომდინარეობს იქიდან, რომ ლიზინგის მფლობელი იღებს გასამრჯელოს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლიზინგი ატარებს საკრედიტო ურთიერთობებისთვის დამახასიათებელ ნიშან - თვისებებსაც, თუმცა შედარებით დაბალი რისკიანობის პირობებით.

ზემოთხსენებული და სხვა ბევრი მნიშვნელოვანი მიზეზის გამო, კომერციული ბანკები დიდ ინვესტიციებს დებენ სალიზინგო კომპანიების გახსნისთვის.

ლიზინგი საქართველოში

დღესდღეობით საქართველოს ბაზარზე ძალზედ აქტიურად სთავაზობენ კომპანიები სალიზინგო მომსახურებას ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. დომინანტი სალიზინგო კომპანიები მაინც ბანკის შვილობილი სალიზინგო კომპანიები არიან, რადგან კომერციული ბანკები ამ კუთხით ძალზე დიდ საინვესტიციო საქმიანობას ეწევიან.

მიუხედავად იმისა, რომ ლიზინგი ახლად შემოსული მომსახურებაა საქართველოს ბაზარზე, არაერთმა სალიზინგო კომპანიამ დაიწყო ფუნქციონირება და წარმატებით ეწევიან ამ მომსახურებას. თუმცა, რამოდენიმე კომპანია მაინც მთავარი მოთამაშეა ამ ბაზარზე, მათგან შეიძლება დავასახელოთ, თიბისი ლიზინგი, საქართველოს სალიზინგო, მოგო, ალიანსი ჯგუფი და სხვ.

გარდა ამისა, ბაზარზე გამოჩნდნენ ისეთი კომპანიები, რომლებიც ფიზიკურ პირებს სთავაზობენ სალიზინგო მომსახურებას. ამ მხრივ ბაზარზე ლიდერია მოგო, რომელიც ა მომხამრებელს სთავაზობს ავტო ლიზინგს უკუ ლიზინგით.

თიბისი ლიზინგი

თიბისი ლიზინგი დაფუძნდა 2003 წელს და კომპანია დღეისათვის ლიდერია ბაზარზე. კომპანიას აქვს 60 მილიონ ლარიანი პორტფელი და 450 კლიენტთან აქვს გაფორმებული 1200 ზე მეტი აქტიური ხელშეკრულება.

იგი კლიენტებს ემსახურება სხვადასხვა სფეროში: სამედიცინო, პოლიგრაფიული, წარმოება, კვება, ვაჭრობა და სხვ.

დღეისათვის თიბისი ლიზინგი საქართველოში არსებული სალიზინგო ბაზრის 75 % პორტფელის მფლობელია.

საქართველოს სალიზინგო კომპანია

საქართველოს სალიზინგო კომპანია, არის საქართველოს ბანკის შვილობილი პროექტი. იგი დაარსდა

2001 წელს და საქართველოს ბაზარზე იყო პირველი ვინც მომხმარებელს ლიზინგი შესთავაზა.

საქართველოს სალიზინგო კომპანია მომხმარებელს სთავაზობს შედეგ მომსახურებებს: ფინანსური ლიზინგი, ავტო ლიზინგი, რესტორნის აღჭურვილობა, დაბრუნებითი ლიზინგი, საოპერაციო ლიზინგი.

ალიანს ჯგუფი ლიზინგი (AGL)

პირველად არასაბანკო სექტორიდან ალიანსი ჯგუფი იყო ვინც დაიწყო სალიზინგო საქმიანობა. იგი მომსახურებას თბილისის გარდა ეწევა 5 ქალაქში: ქუთაისში, რუსთავში, ბათუმში, ზუგდიდში და წალკაში. ალიანსი ჯგუფი ლიზინგს დაფინანსებული აქვს 4 000 ზე მეტი პროექტი.

ალიანსი ჯგუფი ლიზინგი მომხმარებელს სთავაზობს შემდეგ სალიზინგო მომსახურებებს: კორპორატიული ფინანსური ლიზინგი, ექსპრეს მიკრო ლიზინგი, ავტო ლიზინგი, ავტომანქანის უკუ ლიზინგი, საოპერაციო ავტო ლიზინგი.

ლიზინგი ამცირებს კრედიტზე მოთხოვნასა, რაც თავისი მხრივ ხელს უწყობს კრედიტის გაიაფებას. სწორედ ამიტომ, ხშირია შემთხვევა, როდესაც სალიზინგო ობიექტებად გვევლინებიან ბანკის ფილიალები.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში კომერციული ბანკები აქტიურად ხსნიან სალიზინგო კომპანიებს, რადგან, საქართველოში ბანკს არ აქვს უფლება სალიზინგო საქმიანობის წარმოების, ანუ, სალიზინგო პროდუქტის შეთავაზების, შესაბამისად აფუძნებს ცალკე კომპანიას, რაშიც საკაოდ დიდ ინვესტიციას დებენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ინვესტიცია საბოლოო ჯამში დიდი მოგებით უბრუნდებათ, რადგან ბევრი კომპანია სალიზინგო მომსახურებით სარგებლობს მაშინ, როდესაც სჭირდებათ სხვადასხვა ძვირადღირებული მანქანა - დანადგარები. ლიზინგი მათ ეხმარებათ, რომ ეტაპობრივად დაფარონ საზღაური და პარალელურად გამოიყენონ საჭირო ტექნიკა.

ლიზინგი მარტივი და ხელმისაწვდომი მომსახურებაა კომპანიებისთვის, როდესაც ისინი ვერ ახერხებენ სესხის აღებას ბანკების საშუალებით, მითუმეტეს, მოსახერხებელია ახლად დაწყებული ბიზნესისთვის, როდესაც არ აქვთ საკმარისი რესურსები ბიზნესის ფუნქციონირებისთვის.

დავითი პიტიურიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ბიზნეს - ინჟინერინგის ფაკულტეტი (სპეციალობა: ფინანსები), დოქტორანტი

გამოყენებული ლიტერატურა

1. დებულება კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე,, საქართველოს ეროვნული ბანკი, ბრძანება N71, 2008 წ. 17 მარტი
2. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბ. 2014.
3. გოგოლაძე ს., მომატებული კონკურენციისა და ფინანსური კრიზისის ბანკის საქმიანობის მოდელების შემუშავება, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2013
4. ნარმანია დ., საბანკო რისკების მართვის თავისებურებები პოსტკრიზისულ პერიოდში, თბილისი, თსუ, 2011
5. [HTTP://WWW.TBCLEARING.GE/GE/ABOUT-US/FOR-CONSUMERS](http://www.tbclearing.ge/ge/about-us/for-consumers)
6. [HTTP://WWW.BANKOFGEORGIA.GE/CORPORATE/GE/OTHER-SERVICES/ONE-STOP-SHOPPING/LEASING](http://www.bankofgeorgia.ge/corporate/ge/other-services/one-stop-shopping/leasing)
7. [HTTP://WWW.AGL.GE/](http://www.agl.ge/)
8. [HTTPS://WWW.MOGO.GE/KA/LEASING/](https://www.mogo.ge/ka/leasing/)

LEASING AS ONE OF THE INVESTMENT ACTIVITIES OF COMMERCIAL BANKS

RESUME

Nowadays on a Georgian market companies very actively offering lease service to physical and legal people. On the whole commercial banks are interested to open such kind of companies; consequently they are making big investments to set up them.

In the article, there is written about reasons why commercial banks intensively setting up leasing companies. Also discussed about a few lease companies on Georgian market and represented lease operations short summary.

ბავყილოთ თუ ვიყილოთ დოლარი?!

მიუხედავად იმისა, რომ ბანკების ზედამხედველობის საბჭო ეროვნულ ბანკს გამოეყო, ლარის კურსი მაინც არ ჩამოდის ექსპერტების მიერ რეკომენდირებულ 2 ნიშნულამდე, რაც უმრავლესობის აზრით, არსებული ეკონომიკური სიტუაციის ადეკვატური იქნებოდა!

ეს ფაქტი ბადებს ეჭვს, რომ ლარის მაღალი კურსი ნამდვილად ეკონომიკური პროცესებით იყო განპირობებული და არა ეროვნული ბანკის „პროვოკაციული საბოტაჟით“!



მაგრამ რამდენად შეესაბამება რეალური ეკონომიკური ფაქტორები უპასუხისმგებლო პოლიტიკურ ბრალდებებს?

ლარის კურსს ნამდვილად ჰქონდა დაცემის საგარეო ნინაპირობები, მაგრამ ბევრის აზრით, არა ასეთ კატასტროფიულ დონემდე, რადგან შინაგანი ფაქტორები ასე თუ ისე მდგრადი იყო. მაგალითად პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კი შემცირდა, მაგრამ პარალელურად გაიზარდა ადგილობრივი ინვესტიციები ეკონომიკაში – სახელმწიფო თუ საპარტნიორო ფონდების დაფინანსებით გაიხსნა ათეულობით ახალი საწარმო და ა.შ.

მნიშვნელოვნად შემცირდა ექსპორტი პრობლემატურ კრიზისულ ქვეყნებში – როგორებიცაა: **რუსეთი და უკრაინა**, მაგრამ ევროზონის და სხვა ქვეყნებში გაიზარდა.. ასევე პროგრესი იყო ტურიზმის და გადამამუშავებელ სფეროებში...

ამ და კიდევ ბევრი სხვა ფაქტორების შედეგად მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა მაინც 2,8 %-ზე დაფიქსირდა, რაც თანამედროვე მსოფლიოში საკმაოდ დიდი მიღწევაა, რადგან, ბევრ უფრო ძლიერ ქვეყანაში პირიქით - მშპ-ს შეცირება ხდება. **ჩინეთშიც და ევროკავშირშიც კი ზრდის ტემპების მნიშვნელოვანი შემცირება ფიქსირდება.**

თუმცა, ლარის კურსისთვის დაუძლეველ ფაქტორად მიიჩნევა დოლარის გამყარება მსოფლიო მასშტაბით.

ბევრი მიიჩნევს, რომ ნავთობის გაიაფება და დოლარის გამყარება ისევე და ისევე ანტირუსული „საბოტაჟის“ შედეგია, თუმცა, ხელოვნური ეკონომიკური „პროვოკაციები“ ვერ განხორციელდებოდა რეალური ნინაპირობების გარეშე.. **ისევე, როგორც ლარის შემთხვევაში.**

დოლარის გამყარებას კი ბევრი ფაქტორი უძღოდა წინ.

- ჩინეთის საფონდო ბაზრების ჩამოშლამ ბევრი ინვესტორი აიძულა რომ უფრო უკეთესი ალტერნატივა ეძია.

- ევროკავშირში ენერგომატარებლების გაძვირება და რუსეთთან კონფრონტაციამ ზომიერზე მეტად გააძლიერა ინფლაცია, რამაც მნიშვნელოვნად შეანელა ეკონომიკური ზრდა... შესაბამისად, ევროპის ბირჟებმაც დაკარგეს მიმზიდველობა.

- თვითონ აშშ-ში კი სიტუაცია შედარებით უკეთესია.. ექსპერტები ირონიულად ამბობენ, რომ იქ ყველაფერი სტაბილურად ცუდად არის, და ზუსტად ეს თუნდაც ცუდი სტაბილურობა იზიდავს ინვესტორებს, რადგან მათ აშინებთ ჯერ კიდევ გაურკვეველი „კარგად ყოფნის“ პერსპექტივები აზიასა თუ ევროპაში. სიმანდილეში კი საქმე არც ისე ცუდადაა. მიმდინარე წელს ამერიკის მშპ-ს ზრდამ 1,9% შეადგინა. იპოთეკური კრიზისის შედეგად უძრავი ქონების გაიაფებამ ბევრი აზიელი ინვესტორი მოიზიდა, რაც მოხმარების ძლიერი სტიმული გახდა, რის შედეგადაც უმუშევრობის დონე ისევ ძალიან დაბალ - 5,1% ნიშნულზე რჩება..

- გარდა ამისა, დგება პერიოდი, როდესაც აშშ თავის ვალდებულებებზე გადახდებს იწყებს. მათი მოცულობა 9 ტრილიონ დოლარს აღწევს და რა თქმა უნდა, ბევრს სურს, რომ მარჟა რაც შეიძლება სწრაფად მიიღოს.

- ნავთობის გაიაფებამ გაზარდა მოხმარება სხვა სფეროებში. სანავაზე დაზოგილი ფული დაიხარჯა საოჯახო ნივთების შეძენაზე, მოგზაურობებზე და ა.შ... პრინციპში, ეს ფაქტორი მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოქმედებს და არა მხოლოდ აშშ-ში.

თუმცა, რამდენხანს გასტანს იაფი ნავთობის ეპოქა

– ეს საკმაოდ ბუნდოვანი საკითხია.. ამ სფეროში ობიექტური ფაქტორების მოქმედება არც ისე თვალსაჩინო და ძლიერია.

ზოგიერთის მტკიცებით, „ოპეკმა“ იმისთვის დასცა ნავთობის ფასი ასე კატასტროფულად, რომ ფიქალის ნავთობის მომპოვებლები ჩამოეშორებინა, რადგან, მათ საკმაოდ დიდი კონკურენცია გაუწიეს „სუფთა“ ნავთობს.

ფიქალის ნავთობის მოპოვება კი რენტაბელურია მაშინ, თუ ბარელის ფასი 75 დოლარს აღემატება. ე.ი. მათი გაკოტრებისთვის საკმარისი იყო ნავთობის გაიაფება თუნდაც 65 დოლარამდე, მით უმეტეს, რომ ამ სფეროში ჩადებული ინვესტიციები ჯერ კიდევ სანახევროდაც არ არის ამოღებული.

ნავთობის გაიაფების კიდევ ერთ ფაქტორად სახელდება ჩინეთის ეკონომიკის რეცესია და შესაბამისად, ჩინელების მხრიდან სანჯავზე მოთხოვნის შემცირება.

ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევა ალტერნატიული ენერჯეტიკის გავლენა, რომლის მოცულობაც წელიწადში საშუალოდ 20%-ით იზრდება. ეს ზრდა კი პროპორციულად ამცირებს მოთხოვნას მაზუთზე, რაზედაც თბოელექტროსადგურები მუშაობენ.

თუმცა, **მოთხოვნის ასეთი მეტამორფოზების მიუხედავად ნავთობის მიწოდება იმდენად მონოპოლიზირებულია, რომ ამ სფეროში მადის ნებაყოფლობითი შეზღუდვის პრინციპი უფრო მოქმედებს, ვიდრე მოთხოვნა-მიწოდების კანონი.**

ნავთობის სიძვირე ყველა მომპოვებელ ქვეყანას აწყობს, მაგრამ ისინი აცნობიერებენ, რომ ძალიან მაღალი ფასი მთელი მსოფლიოს ეკონომიკას მოახრჩობს და თვითონ ნავთობის სექტორსაც კოლაფსში ჩააგდებს. ამიტომაც აძვირებენ ფასს იმ დონემდე, სადამდეც ამას მსოფლიო ეკონომიკა იტანს!

ასეთი მიდგომა ალბათ მომავალშიც გაგრძელდება. უკვე შეინიშნება ნავთობის ზრდის ტენდენცია – ბარელის ფასმა 55 დოლარს მიაღწია.

თუმცა, რაც არ უნდა უცნაური იყოს, ამ ტენდენციას ისევ აშშ შეენიშნაალმდეგა. სულ ახლახანს მიიღეს კანონი, რომელიც აუქმებს აკრძალვას ამერიკული ნავთობის ექსპორტზე, რაც ძალიან მნიშვნელოვნად შეაფერხებს ნავთობზე ფასების ზრდას. ეს უპრეცედენტო მოვლენაა, რადგან, ბოლო დრომდე არათუ ნავთობის ექსპორტი იკრძალებოდა აშშ-დან, არამედ, შიდა მოხმარებისთვის მოპოვების ზრდაც კი ძალიან შეზღუდული იყო.

ისმის ლოგიკური კითხვა: რამდენად მოახდენს ეს გავლენას დოლარის კურსზე?

თავისთავად ცხადია, რომ დოლარის კურსი და ნავთობის ფასი პირდაპირპროპორციულ კორელაციაში არ იმყოფებიან. თუმცა ნავთობის ფასი დოლარშია ნომინირებული და არაპირდაპირი ურთიერთგავლენა არსებობს...

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება მოხდეს ის, რომ ნავთობექსპორტიორების ვალუტები გამყარდებიან

დოლარის მიმართ, მაგრამ დოლარის არსებულ საერთაშორისო სტატუს-კვოს ეს მოვლენა არსებითად ვერ შეცვლის, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მასზე არასანავთობო ფაქტორები უფრო მეტად მოქმედებენ!

აღნიშნულ ფაქტორებს ემატება კიდევ ერთი. საქმე იმაშია რომ ძალიან ბევრ განვითარებად ქვეყანას „ჩინური სენი“ შეეყარა და ისინი ცდილობენ, თავიანთი ვალუტების ხელოვნური დევალვაციით საექსპორტო პოტენციალი გაზარდონ. ეს, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს დოლარის კურსის ზრდას, თუმცა, ექსპორტის დოლარული ფასი ამით არ მცირდება. **ასე რომ, დოლარი მყარდება სხვა ვალუტების მიმართ და არა საქონლების მიმართ.**

თუმცა, არიან ისეთი დიდი მოთამაშეებიც, რომლებიც პირიქით – დოლარის კურსის დაგარდნაზე მუშაობენ.. მათი მიზანია დოლარის მიმზიდველობის შემცირება ევროს, ფუნტი სტერლინგის და სხვა ნამყვანი ვალუტების სასარგებლოდ.

ნიშანდობლივია ისიც, რომ საერთო გლობალური ტენდენციები მაინც აშშ-ს ეკონომიკის მხარეზეა.

რა თქმა უნდა, მყარი დოლარი ამცირებს ამერიკელი ექსპორტიორების პოზიციებს, მათი შემოსავლები ნელს საშუალოდ 6 % -ით შემცირდა საკურსო ცვლილებების გამო, მაგრამ სანაცვლოდ მყარი დოლარი იზიდავს უცხოურ ინვესტიციებს არასამრეწველო სფეროში.

ექსპორტიდან მოგების შემცირების გამო ამერიკული კომპანიების 25%-მა უარი განაცხადა რეინვესტიციებზე, რის გამოც დასაქმების დონე არ გაიზარდა მოსალოდნელ დონემდე, მაგრამ მეორე მხრივ ეს მოვლენა ამცირებს ინფლაციური ნახტომების რისკებს, რაც ისევე დადებით მომენტად ითვლება.

თუმცა, ბევრი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ინფლაციის დონე უფრო დაბალია ვიდრე ეკონომიკას სჭირდება – 5,6% ზრდის არასათანადო სტიმულია თითქოს.

ამის საპასუხოდ ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ უარი განაცხადა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დაგეგმილ გამკაცრებაზე და „იაფი ფულის“ მიწოდება გააგრძელა 2%-ად. ამ დროს კი ევროპაში საალრიცხვო განაკვეთი 4,25 %-ზე რჩება...

ამ ფაქტმა ბევრი ინვესტორის იმედგაცრუება გამოიწვია, რადგან, კურსზე თამაშის დროს ისინი ითვალისწინებდნენ საალრიცხვო განაკვეთის ზრდას და მათ დოლარების გაყიდვები დაიწყეს. თუმცა, ნავთობზე ფასების ზრდამ პარალელურად გაზარდა მოთხოვნა დოლარებზე...

ასე რომ, ასეთი მერყევი კონიუქტურის მიუხედავად, ყველა მაჩვენებლის კორელაცია ხდება და ჯერ-ჯერობით ფუნდამენტური დისბალანსები აშშ-ს ეკონომიკაში მოსალოდნელი არ არის.

გარდა ამისა, აშშ-ს ეკონომიკის პერსპექტივებს აძლიერებს ის ფაქტიც, რომ ინდოეთი სულ უფრო მეტად ცდილობს მიიზიდოს ამერიკული ინვესტიციები.

დიახ, ინდოელებს სურთ გაიმეორონ ჩინური ეკონომიკური სასწაული, მაგრამ მათგან განსხვავებით

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

ამისათვის აუცილებელი შინაგანი ტექნოლოგიური რესურსები ნაკლებად გააჩნიათ.

აშშ-ს ტექნოლოგიური ინვესტიციების გარეშე ინდოეთის ეკონომიკას სწრაფი ზრდის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ამერიკული კომპანიებიც სულ უფრო დაინტერესებული ხდებიან, რომ რეინვესტიცია მოახდინონ ინდოეთის ეკონომიკაში, რადგან თვითონ აშშ-ში ძლიერი დოლარი მათ მოგებას ამცირებს...

ჯერ კიდევ განუვითარებელი ინდური ეკონომიკის ათვისება კი უზარმაზარ მოგებებს მოუტანს მათ, რაც აშშ-ს სახელმწიფო ბიუჯეტზე დაც არ იმოქმედებს ცუდად...

ასე რომ, მყარი დოლარის პოზიციები ჯერ-ჯერობით საკმაოდ ძლიერია. ნავთობის ფასების მოსალოდნელმა ზრდამ შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანოს არსებულ სიტუაციაში, მაგრამ მდგომარეობას ფუნდამენტურად ვერ შეცვლის!

დოლარის კურსის არსებითი შესუსტება შეუძლია ჩინეთის ეკონომიკის ორიენტაციის შეცვლას შიდა მოხმარების კენ – თუმცა, ამ პროცესს ალბათ რამდენიმე წელი დასჭირდება.

ასევე ევროპის ეკონომიკის სტაბილიზაციაც შორეულ პერსპექტივაში თუ იქნება შესაძლებელი ისევ და ისევ უკრაინის კრიზისის გაჯანჯლების გამო. ნიშანდობლივია ისიც, რომ დოლარის კონიუქტურულ-სპეკულაციური რხევები – ზოგჯერ შესამჩნევიც – გამორიცხული არ არის.

რაც შეეხება ლარის კურსს – მისი ცვლილება ალბათ უფრო მეტად პოლიტიკურ კონიუქტურაზეა დამოკიდებული. სუფთა მაკროეკონომიკური თვალსაზრისით თუნდაც ასეთი მაღალი კურსი დადებითი მოვლენაა მით უმეტეს ნავთობის გაიაფების ფონზე. **როგორც აღინიშნა საკუთარი ვალუტის ხელოვნურ დევალვაციას ყველა განვითარებადი ქვეყანა ცდილობს შეძლებისდაგვარად.**

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კი ასეთი ხელშეწყობის ყველა რეკორდი მოხსნა. მაგრამ ლარის მაღალი კურსი ზრდის ექსპორტიორების შემოსავალს ლარებში – რაც უფრო მეტ სარეინვესტიციო კაპიტალს ნიშნავს.

მაღალი კურსი ასევე აძვირებს იმპორტს, რამაც სტიმული უნდა მისცეს ადგილობრივი იმპორტმემცვლელი წარმოების განვითარებას. თუმცა, საქართველოში იმპორტმემცვლელი პოტენციალი ფაქტიურად არ არსებობს.

ამიტომ, ლარის მაღალი კურსი ინვესს უმეტესად მოსახლეობის გაღატაკებას – საშუალო ფენა იძულებულია რომ შემოსავლის უფრო მეტი წილი გადაუხადოს ბანკებს – კრედიტებზე პროცენტების დასაფარად. ხოლო ისედაც ლატაკი „უკრედიტო“ ფენა იძულებულია შეზღუდოს იმპორტული სურსათის მოხმარება და ადგილობრივი ხილ-ბოსტნეულის „დეიტაზე“ გადავიდეს. ასევე დიდ უკმაყოფილებას ინვესს მედიკამენტების გაძვირებაც.

ამიტომ ხელისუფლება ალბათ გამოიჩინოს პოლიტიკურ ნებას და არჩევნების წინაპერიოდისთვის მაინც დასწვეს ლარის კურსს საოცნებო 2 ლარამდე.

ასეთი დაბალი კურსი არსებითად არ შეცვლის მაკროეკონომიკურ სიტუაციას, რადგან იმპორტის მოხმარება უმეტესად ისევ საზღვარგარეთიდან გამომორიცხული ფულადი მასით ხორციელდება. ქვეყნის საექსპორტო და იმპორტმემცვლელი პოტენციალი კი ისეთი გიგანტური არ არის, რომ 40 თეთრიანმა ვარდნამ დიდი ზაინი მიაყენოს – ეს სფეროები 1.65 კურსის დროსაც მშვენივრად ფუნქციონირებდნენ თან ისიც ძვირი ნავთობის პირობებში...

ნათია ყოყუაშვილი, ეკონომიკის დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

BUY OR SELL THE DOLLAR?

SUMMARY

It is considered, that strengthening of dollar and falling of rate of lari are a result of sanctions and secret sabotage both at the international level and inside the country.

But the existing situation had many objective original causes too.

The collapse of the stock markets of China and recession of economy of Europe have made attractive only the stock markets of the USA where the economy develops anyhow stably. Except for that many less developed countries reduce the currencies with the purpose of stimulation of export. This factor strengthens dollar too.

Alongside with it the prices for energy carriers have been reduced in a home market the USA - as against in Europe. It promoted growth of economy of the USA too, as well as inflow of the foreign capital to sphere of the real estate.

So the dollar has long-term prospects of stability. As the economy of China begins reorientation to internal demand.. This process will be prolonged a lot of time.

Recession in Europe can be the long-term phenomenon too as the anti-Russian sanctions and the conflict in Ukraine influence Europe directly and for a long time.

And the rate of lari depends on manoeuvring of the government between the macroeconomic purposes and social problems.

რატომ არ წყალობს საქართველოს მთავრობა ინტერნეტ-ბაზარს?!

საქართველოს მთავრობის პრიორიტეტი, ქვეყანამ, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს რეგიონში ICT-ისა და ინოვაციების ექსპორტის, ინტერნეტ-ბაზრისა და ელექტრონული მმართველობის განვითარების მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ ინტერნეტ-ბაზრის განვითარება სტიმულირებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ბიუჯეტის შევსების ახალი წყაროების წარმოჩენას, ეკონომიკური აქტივობის ზრდას, ახალი ბაზრების წარმოჩენას, სიღარიბის მასშტაბების შემცირებას, ონლაინ ვაჭრობისა და ონლაინ გარიგებების გააქტიურებას.



აღნიშნულ ფონზე, საქართველოს ინტერნეტ-გარემოს (ინტერნეტ-ბაზარი, ელექტრონული მმართველობა, ელექტრონული კომერცია) განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას სახელმწიფოს დაფინანსება წარმოადგენს.

2016 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ ვარიანტში (ისევე, როგორც წინა წლებში) მცირეა ინტერნეტ-ბაზრისა და ელექტრონული მმართველობის განვითარების მიზნით გამოყოფილი ფინანსური რესურსები. ბიუჯეტში გათვალისწინებული არაა: ელექტრონული კომერციის ხელშეწყობის, მოსახლეობის კომპიუტერიზაციის დაფინანსების, ინტერნეტ-კომპანიებისა და ელექტრონული ბიზნეს-მოდელების წარმოქმნის ფინანსური რესურსები. ასევე, არასაკმარისია პოლიტიკური და სამართლებრივი მხარდაჭერის პროგრამები.

იმისათვის, რომ ქვეყანაში, ელექტრონული ბიზნესი განვითარდეს, საწყის ეტაპზე, საჭიროა მისი ხელშეწყობა და დაფინანსება, რომლის უზრუნველყოფაც სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობის საფუძველზე მოზიდული კაპიტალითა და ფინანსური ინსტრუმენტებითა შესაძლებელი (ასევე, პროგრამებით).

დღეს, ცალკეული სამინისტროების მიერ წარმოებული ელექტრონული მმართველობის ცალკეული კომპონენტების დანერგვის ღონისძიებები არაკოორდინირებული, ფრაგმენტული და უსისტემოა. შესაბამისად, მისგან მიღებული სარგებელი თვალსაჩინო არაა.

საქართველოში, ელექტრონული გარემოს ტექნიკურ მხარდაჭერასა და ელექტრონული მომსახურების შექმნაზე იმაზე მეტი თანხა იხარჯება, ვიდრე საზოგადოების მიერ აღნიშნული ტექნოლოგიების ათვისების პროცესზე. შესაბამისად, გვაქვს ტექნოლოგიები, მაგრამ დაბალია საზოგადოების მიერ მისი ათვისების ტემპი.

ბაზრის კვლევისა და ანალიზის საფუძველზე,

შეიძლება აღინიშნოს, რომ არსებული საბიუჯეტო დაფინანსება საკმარისი არ არის ინტერნეტ-ბაზრის განვითარების, ინფრასტრუქტურის მოდერნიზების, ინტერნეტ-კომპანიების წარმოქმნის, ინტერნეტ-პროდუქტების განვითარების, ელექტრონული ვაჭრობის ზრდის, ელექტრონული კომერციის ექსპორტის, ელექტრონული ბიზნესისა და ინტერნეტ-ეკონომიკის მოცულობის ზრდისთვის.

2016 წლის ბიუჯეტის პროექტში ელექტრონული მმართველობის განვითარებაზე გამოყოფილია 2,5 მლნ ლარი, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებაზე - 8,5 მლნ ლარი, ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარებაზე 1,7 მლნ ლარი, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურება განვითარებაზე 6,5 მლნ ლარი.

მცირე დაფინანსებისა ცალკეულ აღმასრულებელ უწყებებში მიმდინარე ციფრული პროცესი, მართვის ელექტრონული უზრუნველყოფა, კიბერგარემოს ხელშეწყობი ღონისძიებები და სხვა ელექტრონული პროცესი. აღნიშნული პროცესისთვის ბიუჯეტის პროექტში გამოყოფილი ასიგნება დაახლოებით 50 მლნ ლარამდეა (ხოლო, ბიუჯეტით და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლების/გადასახდელების ჩათვლით 105 მლნ ლარი).

შედარებისთვის, შეიძლება მოვიყვანოთ სხვადასხვა ქვეყნის ბიუჯეტის დაფინანსება ICT-ის განვითარებაზე, რომელიც საკმაოდ სოლიდურია, კერძოდ: აშშ-ის მთავრობის დანახარჯი შეადგენს 75 მლრდ დოლარს, დიდი ბრიტანეთის - 10 მლრდ დოლარს, 4-5 მლრდ დოლარის ფარგლებში მერყეობს კანადის, საფრანგეთისა და ავსტრალიის ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტის დანახარჯი (2013). თურქეთის IT სექტორის განვითარებაზე იხარჯება 24 მლრდ დოლარი, რუსეთის მიერ მხოლოდ სახელმწი-

ციფრული ბაზარი

ფო უწყებების ინფორმაციზაციაზე იხარჯება 1,105 მლრდ რუსული რუბლი, (2015), აზერბაიჯანის მთავრობა 2020 წლამდე 3,6 მლრდ დოლარის ჩადებასა და წლიურად 1 მლრდ ინვესტიციის მოზიდვას გეგმავს ICT-სა და ტელეკომუნიკაციის სექტორში.

ხაზგასასმელია, რომ IT სექტორის განვითარებაზე მოლდოვა ხარჯავს მშპ-ის 2,3%-ს, ბულგარეთი - 1,8%-ს, სლოვენია 1,9%-ს, ხორვატია - 1,9%, უკრაინა 2,2%-ს (2010), ხოლო სომხეთი - მშპ-ის 1,1%-ს (2009).

სამწუხაროდ, მცირე ფინანსური რესურსების (საქართველოს ბიუჯეტის 1%-იც კი არ არის მიმართული ინტერნეტ-გარემოს განვითარებაზე) და არსებული სტრატეგიული დაგეგმვის პირობებში რთულია, რომ საქართველომ რეგიონში (ICT-სა და ინოვაციების ექსპორტის კუთხით) დაიკავოს წამყვანი ადგილი, თუ მთავრობის პრიორიტეტი გამოსახული არ იქნება განვითარების ეფექტიან სტრატეგიასა და მიზნობრივ საბიუჯეტო დაფინანსებაში.

მრავალფეროვანია ინტერნეტ-გარემოს განვითარების უზრუნველყოფი უწყებები, თუმცა, რეალურად ქვეყანას ერთი პასუხისმგებელი უწყება არ ჰყავს, რომელიც შედეგზე პასუხს აგებს და კოორდინირებას გაუწევს ინტერნეტ-ბაზრის განვითარების პოლიტიკის გატარებასა და მიზნობრივ დაფინანსებას.

დაბოლოს: შეიძლება აღინიშნოს, რომ:

• ინტერნეტ-ბაზრის განვითარება საჭიროებს გაცილებით მეტ ფინანსურ რესურსს (ნაციონალური ბიუჯეტის 2-3%-ს); რითაც მიღწეული იქნება მშპ-ის, დასაქმებისა და პროდუქტიულობის ზრდა;

• ინტერნეტ-ბაზრის განვითარება საჭიროებს ნოვატორული აზროვნების მმართველობას;

• აღმასრულებელმა უწყებებმა უნდა ითანამშრომლონ სამეცნიერო საზოგადოებასთან და დაინტერესდნენ ქართველი მეცნიერების კვლევებით (აღნიშნულ ჯგუფებს უფრო ეფექტიანად შეუძლიათ ინტერნეტ გარემოს მოთხოვნის ანალიზი, ღირებულების შეფასება, სტრატეგიული დაგეგმვა თუ ეკონომიკური მოდელირება).

• პრიორიტეტული უნდა გახდეს კომპიუტერიზაციის პროცესი, ინტერნეტის ფასის ხელმისაწვდომობა, ინტერნეტ-კომპანიების წარმოქმნისა და ინტერნეტ-გარემოს განვითარების ხელშეწყობა, რაც უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერების მიერ შემუშავებულ სტრატეგიულ გეგმებს;

